ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №17/27

ქ. თბილისი 20 თებერვალი 2017წ.

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორ დავით სალაღაიას სახით და მეორეს მხრივ შპს „სი-ტი პარკ“ (ს/კ 204543770) (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10[1] მუხლის, 3 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის შენიშვნები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ - „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი და მიწოდების ადგილი

2.1.„ხელშეკრულების“ საგანია ქ. თბილისის ტერიტორიაზე „შემსყიდველის“ კუთვნილი ავტომანქანისათვის ექვსთვიანი პარკირების საფასურის გადახდა (CPV- 63712400) (შემდგომში „მომსახურება“) შესყიდვა №1 დანართის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2. მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. „ხელშეკრულების“ ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 25 (ოცდახუთი) ლარს.

3.3. „ხელშეკრულების“ ფასი შეიცავს „მიმწოდებლის“ ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „მომსახურება“ ჩაითვლება მიღებულად სათანადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

6. ანგარიშსწორების წესი

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, „მიმწოდებლის“ რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.
6.3. „შემსყიდველი“ განახორციელებს ანგარიშსწორებას სათანადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
6.4. ანაზღაურების ადგილი: ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ დეტალური ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის შესახებ;
- მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ „ ხელშეკრულების“ ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
- დაიცვას „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობები.

7.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
- მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ფასის ანაზღაურება.
- მოითხოვოს „შემსყიდველისგან“ „ხელშეკრულების“ სხვა პირობების დაცვა.

7.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
- დაიცვას „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1.ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის „ხელშეკრულებით“ დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
8.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს „ხელშეკრულების“ ღირებულების 5%-ს, მხარეს რომელსაც მიადგა ზიანი, უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. „ხელშეკრულება“ ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა „ხელშეკრულების“ პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა „ხელშეკრულების“ პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. „ხელშეკრულების“ პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „ხელშეკრულების“ დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილად.

10.3. „ხელშეკრულება“ შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11. ფორს-მაჟორი

11.1. „ხელშეკრულების“ დამდები რომელიმე მხარის მიერ „ხელშეკრულების“ პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ „ხელშეკრულების“ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ ან/და „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და ასევე ნებისმიერი ხელისშემშლელი ფაქტორით რაც უშუალოდ არ მომდინარეობს მხარეებისგან.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში „ხელშეკრულების“ დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს ფორს-მაჟორულ გარემოებებზე, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველზე აპელირების უფლებას და ეკისრება პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა უნდა დადასტურდეს კომპეტენტური ორგანოს ცნობით. დადასტურება არ არის აუცილებელი საყოველთაოდ ცნობილი გარემოებების არსებობის შემთხვევაში.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება, რომელიც წარმოიქმნება „ხელშეკრულების“ პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი„ ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის შესრულების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

13.2. „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს უზრუნველყოფის სამსახურის სატრანსპორტო მომსახურების განყოფილების უფროსი ირაკლი ზურაბიშვილი.

14. სხვა პირობები

14.1.წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

14.2. „მიმწოდებელს“ არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე ორ (2) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება საჭიროებს წერილობით ფორმას და ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

14.6. „ხელშეკრულების“ პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება ხელშეკრულების დანართის სახით და განიხილება მის განუყოფელ ნაწილად.

14.7. „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს „ხელშეკრულება“ წინასწარი წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

14.8. „ხელშეკრულების“ ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ ,,საქართველოს სახელმწიფო	შპს „სი-ტი პარკ“ ს/კ 204543770
უზრუნველყოფის სააგენტო“ ს/კ 204522793	ქ.თბილისი, კანდელაკის ქ. №47
ქ.თბილისი, დადიანი/გალაქტიონის №13/18.	სს „ბანკი რესპუბლიკა“
სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი: REPLGE22
ბანკის კოდი: TRESGE22	ა/ა: GE90BR0000010608618945
ა/ა GE24NB0330100200165022	
დავით სალაღაია	ბინიამინ ლაჰავი
დირექტორი	გენერალური მენეჯერი
----------	----------
ბ.ა.	ბ.ა.

N	სატრანსპორტო საშუალების დასახელება	გამოშვების წელი	სახელმწიფო ნომერი	პარკირების საფასური (ლარი)
1	Volkswagen Polo	2016	BB902VV	25
			ჯამი:	25.00 ლარი

შემსყიდველი
სსიპ ,,საქართველოს სახელმწიფო
უზრუნველყოფის სააგენტო“

დავით სალაღაია
დირექტორი

ბ.ა.

მიმწოდებელი
შპს „სი-ტი პარკ“

ბინიამინ ლაჰავი
გენერალური მენეჯერი

ბ.ა.

1. ლერი სარაიდაროვი - დირექტორის მოადგილე.

2. სერგო გელაშვილი - სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

3. დავით გიგაშვილი - ეკონომიკური სამსახურის უფროსი.

4. გიორგი კერესელიძე - მთავარი ბუღალტერი.

5. რუსუდან კასრაძე - მთავარი სპეციალისტი (შესყიდვების სპეციალისტი)